პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1971 წ.
№ 178 (4428)
5 სექტემბერი, კვირა.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის ხალხთა V საზაფხულო სპარტაკიადის შედეგებთან დაკავშირებით სპორტსმენთა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის ხალხთა V საზაფხულო სპარტაკიადაში მაღალი მიღწევებისა და საერთაშორისო შეჯიბრებებში წარმატებით გამოსვლისთვის დაჯილდოვდნენ:

შრომის წითელი დროშის ორდენით

ვ. ალექსეევი — სპორტის დამსახურებული ოსტატი.

„საპატიო ნიშნის" ორდენით

ე. არჟანოვი — სპორტის დამსახურებული ოსტატი.
ვ. ბორზოვი — სპორტის დამსახურებული ოსტატი.
ფ. მელნიკი — სპორტის დამსახურებული ოსტატი.
ვ. სტანკოვიჩი — სპორტის დამსახურებული ოსტატი.
ა. შაპარენკო — სპორტის დამსახურებული ოსტატი.

მედლით „შრომითი მამაცობისთვის"

ვ. ბური — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.
ი. კოზინი — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.
დ. რიგერტი — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.
რ. შარაფეტდინოვი — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი
3 სექტემბერი, 1971 წ.

ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

ბევრს ვისწავლით

ალმა-ათა, 3 სექტემბერი. „ყაზახეთში საუცხოო პირობებია შექმნილი მასობრივი სპორტის განვითარებისთვის. სახელმწიფომ ხალხისთვის ააგო კეთილმოწყობილი, თანამედროვე სპორტული კომპლექსები. მოხარული ვართ, რომ შესაძლებლობა გვეძლევა სარბიელზე გამოვიდეთ ამ საბჭოთა რესპუბლიკის საუკეთესო მძლეოსნებთან ერთად, რომელთაგანაც ბევრს ვისწავლით". — განაცხადა დღეს პრეს-კონფერენციაზე ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელმა მ. გუასმიმ.

ალჟირელი მძლეოსნები რესპუბლიკის დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე ორი დღის მანძილზე იასპარეზებენ ყაზახეთის სპორტსმენებთან. ეს შეჯიბრება სტუმრებისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი იქნება მომავალი ოლიმპიური თამაშების წინ.

ალჟირის მძლეოსნობის ფედერაციის წევრმა მ. გუასმიმ აღნიშნა, რომ ალმა-ათაში სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ. მან თქვა, რომ ალჟირისა და ყაზახეთის მძლეოსანთა მატჩები ამიერიდან ტრადიციად იქცევა. მისი სიტყვით, ეს ხელს შეუწყობს სპორტის განვითარებას ალჟირში. სტუმრებმა მოაწყვეს ექსკურსია ალმა-ათის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად. მათზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქალაქის სპორტული მაგისტრალის — აბაის სახელობის პროსპექტის გაცნობამ, სადაც განლაგებულია ორი სტადიონი, რამდენიმე საცურაო აუზი, ჩოგბურთის კორტები, სპორტის სასახლე, ფიზკულტურის ინსტიტუტის კომპლექსი.

„პინგვინი" მიზანთან

ნორილსკი, 3 სექტემბერი. ტიქსიდან მაგადანში მიმავალმა შვერტბოტმა „პინგვინმა" მაგადანის ოლქის საზღვრები გადალახა და მდინარე კოლიმის სათავეებს მიაღწია. ამის შესახებ სამთომეტალურგიული კომბინატის „ზაპოლიარნიკის" სპორტულ კლუბს ნავიდან აუწყა სსრ კავშირის სპორტის საპატიო ოსტატმა; შორეული ცურვის კაპიტანმა ა. იანცელევიჩმა.

სპორტსმენებმა თითქმის მიაღწიეს მიზანს. „პინგვინმა" 1968 წელს დაიწყო ცურვა მოსკოვიდან და მას შემდეგ ყოველ ზაფხულს აგრძელებს გზას.

ტრასაზე მარშრუტით მოსკოვი — არხანგელსკი — ნორილსკი — ტიქსი — მაგადანი ყველაზე რთული მონაკვეთი იყო ტაიმირის ტუნდრა. შვერტბოტი ჯერ კიდევ პირველი რუსი მოგზაურების მიერ გაკვალული მარშრუტით მიდიოდა. მაგრამ ეს საქმეს არ შველოდა. კაპიტანმა ა. იანცელევიჩმა ძველი გზაც გამოიკვლია და ნავებისთვის ახალი არქტიკული მარშრუტიც გაიყვანა.

დიახ „პინგვინის" ოთხწლიანი მოგზაურობის დასასრული არც ისე ილია. არქტიკის ზღვებში ნავს დიდი ჯაფა დაადგა. ბოლო კვირაში მან მხოლოდ 173 კილომეტრი გაიარა. ეს აიხსნება არა მხოლოდ კოლიმის რთული ფარვატერით, არამედ ქარით, ნისლით.

მიუხედავად ამისა, წლეულს ნავს რაიმე მოულოდნელობა უკვე აღარ ელის. გზა გაისად გაგრძელდება, მაგრამ კაპიტანი იანცელევიჩი საგაისო გეგმებს ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავს. თუმცა მამაც კაპიტანს მხოლოდ სამი ვარიანტი აქვს. ყველაზე მარტივია ნავის ატანა არხანგელსკში მიმავალ გემზე იმ მიზნით, რომ იგი ევროპულ ნაწილში დააბრუნოს. უფრო რთულია მოსკოვში ციმბირის მდინარეების გავლით დაბრუნება, ხოლო ყველაზე რთულია ოხოტის ზღვის გადალახვა, რომელ გზას აირჩევს კაპიტანი?

[illegible] მოგვითხრობს

პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

ალექსანდრია — ლაზარევიჩი 5:4

გლადელი, 4 სექტემბერი. გუშინ რატუშის შენობაში ჩვეულებრივზე მეტმა მაყურებელმა მოიყარა თავი ნ. ალექსანდრია (სსრ კავშირი) — მ. ლაზარევიჩის (იუგოსლავია) მატჩის დასკვნით, X პარტიაზე.

ბრძოლამ მთელ საღამოს გასტანა. ლაზარევიჩს (შავები) შეტევის მოგერიება მოუხდა. თამაში ენდშპილში გადავიდა, სადაც საბჭოთა მოჭადრაკეს უკეთესი შანსი ჰქონდა. მაგრამ ამოიწურა თამაშისთვის გამოყოფილი ხუთი საათი და პარტია გადაიდო.

გთავაზობთ მატჩის IX პარტიას.

ლაზარევიჩი — ალექსანდრია

ალიოხინის დაცვა

1. e4 მf6 2. e5 მd5 3. d4 d6 4. c4 მb6 5. f4 კf5 6. მc3 e6 7. მf3 კe7 8. კd3 de 9. fe კ:d3 10. ლ:d3 მc6 11. 0—0 ლd7 12. მe4 0—0—0 13. c5 მd5 14. a3 f6 15. b4 a6 16. კd2 fe 17. de ეhf8 18. ეfb1 მf4 19. ლ:d7+ ე:d7 20. კ:f4 ე:f4 21. მeg5 კ:g5 22. მ:g5 ეg4 23. მf3 მd4 24. მ:d4 ე:d4 25. ეf1 ეd2 26. g3 h5 27. ეf8+ მფd7 28. ეaf1 h4 29. ე1f2 ეd3 30. ე2f3 ე:f3 31. ე:f3 hg 32. hg მფc6 33. მფg2 ეd4 34. ეf7 ეd7 35. ეf3 მფb5 36. g4 მფc4 37. g5 g6 38. ეf6 მფd5 39. მფf3 მფ:e5 40. ე:g6 მფf5 41. ეf6+ მფ:g5. ყაიმი.

კუშნირი — ზატულოვსკაია 4,5:2,5

მინსკი, 3 სექტემბერი. დღეს აქ უნდა შემდგარიყო კუშნირ — ზატულოვსკაიას მატჩის VIII პარტიის დამთავრება, რომელიც გუშინ გადაიდო კუშნირის მატერიალური უპირატესობით. მაგრამ ზატულოვსკაია ავად გახდა და პარტია კვლავ გადადებული დარჩა.

პეტროსიან-ფიშერის მატჩი ბუენოს-აირესში

ფიდე-ს 42-ე კონგრესმა გადაწყვიტა: ტ. პეტროსიან (სსრ კავშირი) — რ. ფიშერის (აშშ) ფინალური მატჩი გაიმართოს ბუენოს-აირესში (არგენტინა). ორთაბრძოლა 30 სექტემბერს დაიწყება. მეტოქეებმა 12 პარტია უნდა ითამაშონ. გამარჯვებისთვის საკმარისია 6,5 ან 7 ქულის მოგროვება. ყაიმის (6:6) შემთხვევაში მეტოქენი დამატებით 8 პარტიას ითამაშებენ პირველ მოგებამდე. ფიდე-ს პრეზიდენტის მ. ეივეს სიტყვით, არგენტინის ჭადრაკის ფედერაცია მატჩში გამარჯვებულს 7 ათასი დოლარით დააჯილდოებს, დამარცხებულს კი 5 ათას დოლარს გადაუხდის.

კონგრესმენთა დიდი გამოიწვია ფიდე-ს პრეზიდენტის წინადადებამ: პრეტენდენტთა მატჩების ნაცვლად შემოღებული იქნეს პრეტენდენტთა ოთხწრიანი მატჩ-ტურნირი, აგრეთვე, ორი საზონათაშორისო ტურნირი. კონგრესმა მიიღო წინადადება საზონათაშორისო ტურნირის გაზრდის თაობაზე, მაგრამ უარყო აზრი მატჩების გაუქმების შესახებ. ამრიგად, მსოფლიო პირველობის გათამაშების 1972-75 წლების ციკლში შედგება ორი საზონათაშორისო ტურნირი (თითოეული 16 მონაწილით), საიდანაც სამ-სამი გამარჯვებული და ამჟამინდელი ფინალური მატჩის მონაწილენი (ან მსოფლიო ჩემპიონი, თუ იგი დამარცხდა ერთ-ერთ პრეტენდენტთან) გამართავენ პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩებს.

კონგრესმა უმაღლესი სპორტული თანრიგი მიანიჭა საბჭოთა მოჭადრაკეებსაც: საერთაშორისო დიდოსტატის წოდება — 20 წლის ერევნელ რ. ვაგანიანს, საერთაშორისო ოსტატისა — ჟ. სვეგინას (მოსკოვის ოლქი) და ნ. ტიტორენკოს (მოსკოვი).

ფიდე-მ გადაწყვიტა გამართოს მატჩი ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონ ხუგსა (შვეიცარია) და მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ა. კარპოვს (სსრ კავშირი) შორის. ეს შეხვედრა, რომელშიც 6 პარტია გათამაშდება, შვეიცარიაში შედგება.

მასპინძლობს სოხუმი

თანამედროვე შაშის საბჭოთა ოსტატები მსოფლიოში აღიარებული ლიდერები არიან. რიგელი დიდოსტატი ა. ანდრეიკო მსოფლიო ჩემპიონია, ხოლო სსრ კავშირის ნაკრები გუნდი ევროპის ჩემპიონი. ოღონდ ევროპის ჩემპიონის სახელს ჰოლანდიელი დიდოსტატი ტ. სეიბრანდსი ატარებს.

და აი, გუშინ სოხუმში საზეიმოდ გაიხსნა ევროპის პირადი პირველობა, სადაც საბჭოთა მოშაშეებს ჩემპიონის ტიტულის მოპოვების საუცხოო შანსი ეძლევათ. ტურნირში მონაწილეობენ სსრ კავშირის, ჰოლანდიის, საფრანგეთის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიის, ბელგიის დიდოსტატები და ოსტატები. სსრ კავშირიდან თამაშობენ მსოფლიო ჩემპიონი ა. ანდრეიკო, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. შჩოგოლევი, დიდოსტატი ა. განტვარგი, სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი მ. კორხოვი.

სოხუმს ჩამოვიდა ევროპის ჩემპიონი ტ. სეიბრანდსიც. ჟურნალისტებთან საუბარში მან თქვა, რომ ჩემპიონის ტიტულის მთავარ კანდიდატებად მხოლოდ ანდრეიკო და საკუთარი თავი მიაჩნია.

პირველობა, რომლის მთავარი მსაჯია საერთაშორისო არბიტრი ლუი დალმანი (საფრანგეთი), 18 სექტემბრამდე გასტანს.

გესალმებათ სპორტკლუბი „დივნოგორეცი"

ეს კლუბი აერთიანებს ყველას, ვისაც ამ პატარა ქალაქში სპორტი უყვარს. 1966 წლის 20 ივლისიდან კრასნოიარსკის ჰესის მშენებლობის ფიზკულტურის კოლექტივი სპორტკლუბ „დივნოგორეცად" იწოდება. 5600 ფიზკულტურელი ცოტა როდია ქალაქისთვის, რომელსაც სულ 25000 მცხოვრები ჰყავს.

...1964 წელს მსოფლიოში უდიდესი ელსადგურის მშენებლობაზე ლენინგრადის ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტიდან ოთხი ენთუზიასტი ჩამოვიდა. ესენი იყვნენ ლ. დიომინი, ვ. გრინინი, ე. კარტუკოვი და სპორტკლუბის დღევანდელი მასწავლებელი გ. კოზლოვი. პირველ ხანებში არც გამოცდილება ჰყოფნიდათ, არც ინვენტარი. მიუხედავად ამისა, საწვრთნელი მეცადინეობები სპორტის 21 სახეობაში ტარდებოდა.

შედეგმაც არ დააყოვნა. „დივნოგორეცში" დღეს 5 სპორტის ოსტატია, 15 ოსტატობის კანდიდატი, 200 პირველთანრიგოსანი. საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს ტურისტების კლუბი და ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტული სკოლა 450 მოსწავლით. დივნოგორსკელი სპორტსმენები სამხარეო შეჯიბრებათა უცვლელი პრიზიორები არიან. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად სპორტის ოსტატი სამბოში ბ. ზადორინი, კარგად გამოდის რესპუბლიკის ჩემპიონატებში.

დამკვრელურ-კომკავშირულ მშენებლობათა ფიზკულტურული კოლექტივების შეჯიბრებებში, საზოგადოება „ტრუდის" კოლექტივებს შორის გამართულ ასპარეზობებში „დივნოგორეცი" ერთ-ერთი პირველი იყო.

სპორტკლუბი 5 წლისაა და ჯერ კიდევ ბევრი საქმე აქვს გასაკეთებელი, მაგრამ უკვე დღევანდელი დღე მოწმობს, რომ მისი მომავალი კიდევ უფრო საინტერესო იქნება.

სურათზე: დივნოგორეცის ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენი, სპორტის ოსტატი სამბოში ნ. ზადორინი (ცენტრში) თანაგუნდელ ს. კუზნეცოვთან საწვრთნელი შეხვედრის დროს. მარცხნივ დგას კლუბის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ახლა მისი მესვეური, მოწინავე გ. კოზლოვი.
მ. დათიკაშვილის ფოტო (საკდესი).

ფიზკულტურა... რეცეპტით

ახალგაზრდა სპეციალისტი ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრებისთანავე სამუშაოდ მშობლიურ საჩხერეში მიიწვიეს. რაიონის მთავარმა ექიმმა ვ. ჯაფარიძემ და ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ დ. გოშაძემ მას ახალ საავადმყოფოში სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდისტის ადგილი შესთავაზეს.

ჯ. მაჭარაშვილმა პირველი დღიდანვე საჭირო ინვენტარის შეძენას მოჰკიდა ხელი. კაბინეტში მალე გაჩნდა სპორტული იარაღებისა და ხელსაწყოების მთელი არსენალი. ჭაბუკი ცოდნითა და ენერგიით ჩაება საქმეში. მალე კანონად იქცა, რომ მკურნალობის პროცესში ჩართული ვარჯიშების გარდა, ავადმყოფებმა კურსი სამკურნალო ფიზკულტურით უნდა დაამთავრონ.

ფიზკულტურის ასეთ სასწაულებრივ ძალას ვერასოდეს წარმოვიდგენდი, — გვითხრა ელექტრომექანიკოსმა ლ. გაბაძემ.

— დაჟეჟილობისა და სახსრების ტკივილის წამლად მასაჟი და ფიზიკური ვარჯიშები დამინიშნეს, ახლა ჩინებულად ვარ. ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო, ფიზკულტურას სამუდამოდ დავუმეგობრდი, — დასძინა საირხის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ვ. ბიწაძემ.

კაბინეტს ამბულატორიული მკურნალობისთვისაც ბევრი აკითხავს. 72 წლის ა. ბინიაშვილს ექიმმა სამკურნალო ფიზკულტურის პროცედურების მიღება ურჩია.

— ავადმყოფი ჯერ უარზე იყო, მერე კი დამატებითი მკურნალობის დანიშვნა მომთხოვაო, — ღიმილით გაიხსენა მეთოდისტმა.

მაჭარაშვილი ფიზკულტურისა და სპორტის დაუღალავი ქომაგიცაა. სწორედ მისი წყალობით საავადმყოფოს პერსონალმა თავდავიწყებით შეიყვარა ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ტურიზმი, ჭადრაკი და შაში. მაჭარაშვილმა და მთავარმა ქირურგმა გ. ჯიქიამ ჩაუყარეს საფუძველი მედიცინის მუშაკთა რაიონული სპარტაკიადის ჩატარების ტრადიციას. ბევრგან დაინერგა საწარმოო ტანვარჯიში, ეწყობა შიდასაკოლექტივო და ამხანაგური შეჯიბრებები. სპორტულ სარბიელზეც გაითქვეს სახელი ექიმებმა გ. ლონდაძემ, თ. ავალიშვილმა, ლ. კვინიკაძემ, მ. ფაცურიამ და სხვებმა. ისინი წარმატებით გამოდიან სარაიონო პირველობებშიც.

თ. ბაჩიჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).
საჩხერის რაიონი.

• • •

სურათზე: მეთოდისტი ჯ. მაჭარაშვილი და პაციენტი ვ. ბიწაძე სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტში.

ავტორის ფოტო.

ფ. მალკინი

„წინ, მუშკეტერებო!“

იცნობდით, „კომანდორი“ გახლავთ!

ეს ხანდაზმული, ლამაზი და ელეგანტური მამაკაცი ოდესღაც „ტიფოზების“ კერპი გახლდათ. მას კარგად იცნობდნენ საბჭოთა გულშემატკივრებიც. ერთხელ ის ესტუმრა ჩვენს ქვეყანას და მონაწილეობდა მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც გამოდიოდნენ საფრანგეთის, უნგრეთის, იტალიისა და საბჭოთა კავშირის უძლიერესი მუშკეტერები. ეს იყო 1955 წელს. ამ ტურნირში იგი საბჭოთა დაშნით მოფარიკავეთა მასწავლებლად მოგვევლინა. როგორც ყველა უცხოელი მონაწილე, ისიც იმიტომ გვეწვია, რომ თავისი გამოცდილება გაეზიარებინა მასპინძლებისთვის, რომლებიც ის-ის იყო იდგამდნენ ფეხს საერთაშორისო ასპარეზზე.

მსაჯს ედუარდო მანჯიაროტის ეძახიან. იგი ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო პირველობათა ათგზის ჩემპიონია დაშნითა და რაპირით ბრძოლაში. ახლა იგი მხოლოდ მსაჯი კი არა, ჩვენი მწვრთნელების მოწაფეც გახლავთ. რადგანაც ფარიკაობის საბჭოთა სკოლა საუკეთესოა მსოფლიოში, ხოლო იტალიური სკოლა ვეტერანთა წასვლის შემდეგ ვეღარაფრით გაიმართა წელში.

— ჩვენ, ძველ გვარდიას, მემკვიდრენი არა გვყავს. ამისი მიზეზი მუსოლინის ფაშისტური რეჟიმი გახლდათ. მაშინ ფარიკაობის სკოლები დახურეს, სამხედრო სასწავლებლებში კი სპორტულ ფარიკაობას არ ასწავლიდნენ, — ამბობს ანტიფაშისტი სპორტსმენი.

დიდი სპორტული მიღწევებისა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის იტალიის მთავრობამ მას „კომანდორის“ წოდება მიანიჭა. ამ საპატიო სახელს იტალიაში ბევრი როდი ატარებს. „კომანდორი“ საყოველთაო პატივისცემითაა გარემოსილი. მას მუდამ შეუძლია ნებისმიერი მანქანა, თუნდაც, პოლიციისა, გააჩეროს და მოითხოვოს სასურველ ადგილას მიყვანა. „კომანდორისთვის“ ყოველთვის ღიაა იტალიის სტადიონები, თუნდაც ტრიბუნები ხალხით იყოს გაჭედილი. მას საკუთარი სავარძელი აქვს „ლა სკალას“ სახელგანთქმულ ოპერის თეატრში. მანჯიაროტი მილანელი გახლავთ, თანამემამულენი ისევე ამაყობენ ამ შესანიშნავი სპორტსმენით, როგორც თავიანთი ცნობილი თეატრით.

ამჟამად იგი ბრწყინვალე მსაჯია, რომელიც ზედმიწევნით ზუსტად გრძნობს ურთულესი ასპარეზობების უმნიშვნელო ნიუანსებსაც კი. ერთი სიტყვით, იგი საფარიკაო სპორტში ერთ-ერთი ყველაზე საპატიო და ავტორიტეტული ადამიანია.

სწორედ მანჯიაროტის ეკუთვნის მუშკეტერთა კოდექსი, რომელიც მოფარიკავის კეთილშობილებასა და რაინდობაზე მეტყველებს.

აი, ეს კოდექსიც:

1. გახსოვდეს, რომ სპორტის კეთილშობილური სახეობის წარმომადგენელი ხარ.
2. ფარიკაობას მისდიე უანგაროდ და ერთგულად.
3. საფარიკაო ბილიკზე და ცხოვრებაშიც მოიქეცი ისე, როგორც შეშვენის ჯენტლმენს, სპორტსმენსა და კარგად აღზრდილ ადამიანს.
4. ნუ ბჭობ ფარიკაობის შესახებ, ვიდრე ფარიკაობასა და მის წესებს არ დაუფლებიხარ.
5. ისწავლე წაგება ღირსეულად და გამარჯვების მოპოვება კეთილშობილურად.
6. ყოველთვის პატივს სცემდე შენს მეტოქეს, ვინც უნდა იყოს იგი, ოღონდაც მთელი ძალით ეცადე მის დამარცხებას.
7. გახსოვდეს, რომ ბოლო ჩხვლეტამდე შენს მოწინააღმდეგეს არ გაუმარჯვნია.
8. უმჯობესია გულმშვიდად შეეგუო დამარცხებას, ვიდრე მიაღწიო გამარჯვებას არაკეთილსინდისიერი გზით.
9. გაუფრთხილდი, მოუარე და პატივი ეცი საკუთარი სახელის ღირსებას, მასწავლებლის პრესტიჟს, შენი კლუბის სახელს.

ვოლგისპირელი

— ერთი ამას დამიხედეთ, იმხელა ბიჭის მამაა, ბიჭ-ბუჭებთან ფეხბურთის თამაში კი არ სწყინდება, — ჭორაობენ ეზოში გამოსული დიასახლისები.

— გერმან, ცოტა არ იყოს, უხერხულია, — ეუბნება ახოვან ახალგაზრდას სახლმმართველი. ვის უნახავს, რომ სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიო ჩემპიონი პატარა ბიჭებთან ფეხბურთს თამაშობდეს? ღმერთმა ნუ ქნას და ვაითუ ვინმეს ფანჯარაც ჩაუმსხვრიოთ?

სვეშნიკოვი თავაზიანად იღიმება, მაგრამ ფეხბურთის თამაშს თავს მაინც არ ანებებს. საქმე ისაა, რომ მას ფეხბურთზე უფრო ბავშვები უყვარს. რას იზამ, ასეთი ადამიანია გერმან სვეშნიკოვი. აბა, გამოტყდით, ბევრი თუ გინახავთ ისეთი ჩემპიონი, რომელიც ოქროს მედლებს სხვებს ურიგებდეს?. სვეშნიკოვი კი სინანულის გარეშე შელია თავის ორ ოქროს მედალს. მისი ერთი ჯილდო სპორტსკოლის მოსწავლეებმა გაითამაშეს, მეორე კი ჩვეულებრივ ეზოს კლუბს გადასცა.

თუ სხვებს თავი მოაქვთ ლევ იაშინითა და ვალერი პოპენჩენკოთი, ვოლგისპირელი ბიჭუნები ამაყობენ თავიანთი საყვარელი გმირით — გორკელი მუშკეტერით. ის მათი დარტანიანია.

სვეშნიკოვი ჩვეულებრივი ადამიანია. ერთი შეხედვით, მას ყველაფერი იოლად გამოსდის. მაგრამ თუ მის გულში ჩაიხედავთ, მიხვდებით, რომ ამ სპორტსმენს გამარჯვების სიხარულთან ერთად ბევრი სინანულიც განუცდია, უტირია კიდეც...

1959 წელი. ბუდაპეშტის მსოფლიო პირველობა. სვეშნიკოვი მეორედ გამოდის საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში. პირად პირველობაზე ერთი საინტერესო ამბავი მოხდა. თავისი ბოლო შეხვედრის შედეგის მიუხედავად, სვეშნიკოვი მეხუთე ადგილს მოიპოვებდა. მაგრამ თუ გერმანი ორთაბრძოლას წააგებდა, გუნდის კაპიტანი მარკ მიდლერი მეორე ადგილზე გავიდოდა და ვერცხლის მედალს დაისაკუთრებდა. სვეშნიკოვის გამარჯვების შემთხვევაში I-III ადგილების გადათამაშება უნდა მომხდარიყო.

მიდლერი ნამდვილი სპორტსმენია და ამიტომაც გადათამაშება უფრო ხელს აძლევდა. მან გერმანს სთხოვა, რომ მთელი ძალით ებრძოლა გამარჯვებისთვის. მართლაც, სვეშნიკოვმა მოიგო ორთაბრძოლა, მაგრამ ეს გამარჯვება ძვირად დაუჯდა. ვინ იცის, რას არ აკეთებდა საფარიკაო ბილიკზე, რომ წარმატებისთვის მიეღწია: ეცემოდა, მკერდს ხელით იფარავდა, რომ იტყვიან, კბილებით უნდოდა გამოეგლიჯა გამარჯვება. რასაკვირველია, ეს ორთაბრძოლა არ ჰგავდა ფილადელფიაში გამართულ ასპარეზობას, სადაც ის გმირად აღიარეს...

მიდლერმა დამატებითი ბრძოლა წააგო და მესამე ადგილით დაკმაყოფილდა. ვერცხლის მედლის ნაცვლად მას ბრინჯაო ხვდა.

— მადლობელი ვარ შენი, გერა. — ირონიულად გადაუხადა მადლობა გაწბილებულმა მიდლერმა.

სვეშნიკოვს თავის სიცოცხლეში პირველად ცრემლები წამოუვიდა. მას რცხვენოდა საკუთარი გამარჯვებისა, თანაც გული ატკინა ამხანაგის სიტყვებმა. „აბა, რად მითხრა ეს? რატომ?..“

რამდენიმე დღის შემდეგ სვეშნიკოვს გულს დარდი გადაეყარა. 30 აგვისტო ყველაზე ბედნიერი დღეა გორკელი მუშკეტერისთვის. ამ დღეს მან სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ცხოვრების გზა ფაინას — სკოლის მასწავლებელს. ზუსტად ერთი წლის შემდეგ კი, 1960 წლის 30 აგვისტოს, ოლიმპიური თამაშების მონაწილე სპორტსმენმა რომში სასიხარულო ცნობა მიიღო — ბიჭი შეეძინა. მეორე დღეს გერმანი რომის ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა.

ახლა ხომ გაიცანით მსოფლიოს ათგზის ჩემპიონი გერმან სვეშნიკოვი, რომელიც ეზოში თამაშობს ფეხბურთს პატარა ბიჭებთან, თანაც ნორჩ მოფარიკავეებს ავარჯიშებს თავისი მწვრთნელის იური კაზანჯიანის სპორტულ სექციაში. მომავალ მუშკეტერთა შორის მისი პატარა ბიჭი მიშაცაა...

• •

სურათზე: საბჭოთა კავშირის რაპირისტ ვაჟთა ნაკრები გუნდი, რომელიც წლების განმავლობაში მსოფლიო ჩემპიონი იყო. მარცხნიდან — ი. სისიკინი, მ. მიდლერი, გ. სვეშნიკოვი, ვ. ჟდანოვიჩი და ი. შაროვი.

კალათბურთელი დაიკარგა

მოსკოვის „დინამოს“ სტადიონის გულშემატკივრები დღემდე იგონებენ ამ ამბავს. ეს უფრო ლეგენდასა ჰგავს, მაგრამ სამაგალითოდ გამოადგება ყველა სპორტსმენს — ახალბედასა და ოსტატს.

... მოულოდნელად გაქრა კალათბურთელი — ძლიერი და საჭირო სპორტსმენი. მოედანი დატოვა, სათადარიგო მოთამაშეთა სკამზე ჩამოჯდა და მერე თვალიც ვერავინ მოჰკრა. საქმე ისაა, რომ სწორედ ამ თამაშს უნდა გადაეწყვიტა — იქნებოდა თუ არა მოსკოვის „დინამო“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ატყდა ერთი ალიაქოთი: „სად არის საიჩუკი, ნეტავ სად იქნება? მალე მოედანს უნდა დაუბრუნდეს, ის კი არსად ჩანს“!

სწორედ ამ დროს კალათბურთის მოედნის მახლობლად მოფარიკავეთა საკავშირო ჩემპიონატი ტარდებოდა. მონაწილეთა შორის გამოირჩეოდა ერთი სპორტსმენი, რომელიც საოცრად ჰგავდა დონ-კიხოტს. ოღონდაც წვერულვაში არა ჰქონდა. ისეთივე მაღალი, მხრებში ოდნავ მოხრილი და გამხდარი იყო. მორიგი გამარჯვების შემდეგ იგი განცალკევდა და სწრაფად იწყო საფარიკაო ტანსაცმლის გახდა. და უცებ, ჰოი, საოცრებავ! თურმე სპორტსმენს საფარიკაო კოსტიუმის შიგნით კალათბურთელის ფორმა ეცვა. ერთი წამიც არ დაუხანებია, მყისვე კალათბურთის მოედანს მიაშურა. მალე იგი კვლავ მოსკოვის დინამოელთა რიგებში ჩადგა და მაყურებელს დახვეწილი ოსტატობით ხიბლავდა.

სწორედ ეს კაცი გახლდათ ის საიჩუკი, რომელსაც გამალებით ეძებდნენ... ამ დღეს ლევ საიჩუკმა, მომავალში საბჭოთა კავშირის მოფარიკავეთა ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, მკერდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ორი ოქროს მედლით დაიმშვენა: ერთი კალათბურთში მოპოვებული წარმატებისთვის მიიღო, მეორე კი ხმლით ფარიკაობაში ერგო.

ასეთი უცნაური ამბავი მოხდა 1948 წელს მოსკოვის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე...

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო“ № 177.

რედაქციას გვთხოვენ

ჩვენი გულისტკივილი

სოფელი ნაფიჩხოვო ერთ-ერთი მოწინავეა ჩხოროწყუს რაიონში. აქ 600-ზე მეტი კომლი ბინადრობს, არის ერთი საშუალო და ორი 8-წლიანი სკოლა, ახალგაზრდობა გატაცებულია სპორტით.

მაგრამ სამეცადინო ადგილს აქ ვერ იპოვით. კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის თხოვნით გამგეობამ გამოყო ადგილი ფეხბურთის მინდვრისთვის № 8 ბრიგადის ჩაის საწონ პუნქტთან და მშენებლობის ხელმძღვანელობა დაევალა პარტორგანიზაციის მდივანს ნ. დარსალიას. 1969 წლის ოქტომბერში სამუშაოები დაიწყო, მაგრამ მინდორი სულ მალე უყურადღებოდ მიატოვეს, დარჩა მიწის გორები, მინდორზე ჩადგა წყალი და ბაყაყების სამყოფლად (?) იქცა. კარგის ნაცვლად მშენებლებმა ცუდი საქმე გააკეთეს.

ახალგაზრდობა მზადაა თავისი წვლილი შეიტანოს სპორტული ბაზის მოწყობის საქმეში, მაგრამ საჭირო ტექნიკის გარეშე ამას იგი ვერ შეძლებს. კოლმეურნეობის გამგეობამ დახმარება უნდა გაგვიწიოს, რათა საფეხბურთო მინდორი უახლოეს ხანში ჩადგეს მწყობრში.

სოფ. ნაფიჩხოვოს ახალგაზრდობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული სექტემბერი

შემოდგომის პირველი თვე ბევრ საინტერესო შეჯიბრებას გვპირდება. დავასახელებთ მათგან უმთავრეს ასპარეზობებს.

ბადმინტონი

21—24. სსრ კავშირის თასის გათამაშება (კიშინიოვი).

ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა

6—9. საერთაშორისო შეჯიბრება (გფრ).

ბალახის ჰოკეი

20—24. სსრ კავშირის, ჰოლანდიისა და გფრ-ის ნაკრები გუნდების შეჯიბრება (ჰოლანდია, გფრ).

ველოსპორტი

[illegible]—8. საერთაშორისო შეჯიბრება (ტრეკი, ხარკოვი).

15—25. საერთაშორისო შეჯიბრება „ტურ დ'ლავენირი" (გზატკეცილი, საფრანგეთი).

22—26. სსრ კავშირის იუნიორთა პირველობა (გზატკეცილი, კიშინიოვი).

30. IX—12. X. სსრ კავშირის ჩემპიონატი მრავალდღიან რბოლაში (იმიერკარპატი).

თანამედროვე ხუთჭიდი

18—22. სსრ კავშირის იუნიორთა პირველობა (ტაშკენტი).

კალათბურთი

10—19. ევროპის ვაჟთა ჩემპიონატი (გფრ).

კრივი

5—10. მეგობრულ არმიათა ჩემპიონატი (უნგრეთი).

11—17. საერთაშორისო შეჯიბრება (გფრ).

16—23. სსრ კავშირის იუნიორთა პირველობა (ალმა-ათა).

მოტობურთი

12—19. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი (ელისტა).

მშვილდოსნობა

11—12. სსრ კავშირის იუნიორთა პირველობა (ოდესა).

მძლეოსნობა

5—6. სოციალისტური ქვეყნების საერთაშორისო შეჯიბრება „მეგობრობა" (კუბა).

5—12. საერთაშორისო შეჯიბრება (გფრ).

11—12. საერთაშორისო შეჯიბრება — ძმები ზნამენსკების მემორიალი (მოსკოვი).

12—13. გდრ-ისა და სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრები გუნდების მატჩი (გდრ).

18—19. სსრ კავშირისა და გფრ-ის ნაკრები გუნდების მატჩი (კიევი).

20. სსრ კავშირისა და გდრ-ის ნაკრები გუნდების მატჩი (სპორტული სიარული, სოჭი).

25—26. სსრ კავშირის თასი — გაზეთ „იზვესტიას" თასი (დონის როსტოვი, ბაქო).

მხატვრული ტანვარჯიში

16—18. სსრ კავშირის ჩემპიონატი გუნდურ ვარჯიშებში და სსრ კავშირის თასი (ბაქო).

რაგბი

19—25. სსრ კავშირის ჩემპიონატი. II ტური (ქუთაისი).

სათხილამურო სპორტი

25—26. საკავშირო შეჯიბრება ხელოვნურსაფარიანი ტრამპლინიდან ნახტომში (გორკი).

სამოტოციკლო სპორტი

10. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი (შვეცია).

26. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი წიდოვან ბილიკზე რბოლაში (პოლონეთი).

საცხენოსნო სპორტი

5. მსოფლიო ჩემპიონატი სამჭიდში (დიდი ბრიტანეთი).

5—7. მეგობრულ არმიათა ჩემპიონატი (უნგრეთი).

ტანვარჯიში

12—15. გაზეთ „იუმანიტეს" სპორტული ზეიმი (საფრანგეთი).

ტყვიის სროლა

22—28. ჭაბუკთა და გოგონათა საკავშირო პირველობა (ოდესა).

ფეხბურთი

15. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი: „გალათასარაი" (სტამბოლი) — ცსკა (მოსკოვი). თურქეთი.

15. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი: „ოლიმპიაკოსი" (პირეოსი) — „დინამო" (მოსკოვი). საბერძნეთი.

15. უეფა-ს თასის გათამაშება საკლუბო გუნდებს შორის: „სპარტაკი" (მოსკოვი) — ვსს (კოშიცე). მოსკოვი.

18. რკინიგზელთა საერთაშორისო სპორტული კავშირის ჩემპიონატის ფინალი: „რაპიდი" (ბუქარესტი) — „ყაირათი" (ალმა-ათა). რუმინეთი.

22. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი სსრ კავშირისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებ გუნდებს შორის (მოსკოვი).

29. უეფა-ს თასის გათამაშება საკლუბო გუნდებს შორის: ვსს (კოშიცე) — „სპარტაკი" (მოსკოვი). ჩეხოსლოვაკია.

29. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი: ცსკა (მოსკოვი) — „გალათასარაი" (სტამბოლი). მოსკოვი.

30. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი: „დინამო" (მოსკოვი) — „ოლიმპიაკოსი" (პირეოსი). მოსკოვი.

ფრენბურთი

5—10. სსრ კავშირისა და იაპონიის ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდების შეჯიბრება (ლენინგრადი, მოსკოვი).

5—12. ევროპის იუნიორთა პირველობა (ესპანეთი).

23. IX—2. X. ევროპის ჩემპიონატი ქალთა და ვაჟთა გუნდებს შორის (იტალია).

შაში

5—18. ევროპის პირადი ჩემპიონატი (სოხუმი).

ჩოგბურთი

28. IX—3. X. სსრ კავშირის თასი (ერევანი).

ცურვა

9—11. სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს ნაკრები გუნდების მატჩი (მინსკი).

ძალოსნობა

16—24. მსოფლიო ჩემპიონატი (პერუ).

ძიუდო

5. მსოფლიო ჩემპიონატი (გფრ).

23—26. მეგობრულ არმიათა ჩემპიონატი (კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა).

წყალბურთი

5. ევროპის იუნიორთა პირველობა (ესპანეთი).

24—30. საერთაშორისო შეჯიბრება — „იადრანის თასი" (იუგოსლავია).

წყალქვეშა სპორტი

5—7. ევროპის ჩემპიონატი ორიენტირებასა და ჩქაროსნულ სახეობებში (საფრანგეთი).

წყალში ხტომა

8—11. სსრ კავშირის თასი და სსრ კავშირისა და აშშ-ს ნაკრები გუნდების მატჩი (კიევი).

ჭადრაკი

15. IX-16. X. სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატი (ლენინგრადი).

ევროპული კალათბურთის მეჩვიდმეტე გამოცდა

ზ. საკანდელიძე.

მ. ქორქია

◆

10 სექტემბერს ესენში (გფრ) სტარტს აიღებს ევროპის კალათბურთელ ვაჟთა XVII ჩემპიონატი. სარბიელზე გამოვა ძველი სამყაროს ყველა უძლიერესი კოლექტივი, მათ შორის კონტინენტის ათგზის ჩემპიონი — სსრ კავშირის ნაკრები.

საბჭოთა კალათბურთელებმა ევროპის ჩემპიონატში პირველად 1947 წელს მოსინჯეს ძალები და მაშინვე წარმატებას მიაღწიეს — ჩამოართვეს ოქროს მედლები ჩეხოსლოვაკიელებს და კონტინენტის უძლიერეს კოლექტივთა სიას სათავეში მოექცნენ. მას შემდეგ საბჭოთა გუნდი არ თმობს საპატიო ტიტულს (მხოლოდ ერთხელ, 1955 წელს დაიკავა მან III საპრიზო ადგილი).

როგორია საბჭოთა ნაკრების წლევანდელი შანსები? ევროპის ჩემპიონს ამჯერადაც მთავარ ფავორიტთა შორის ასახელებენ. სპეციალისტები ჩვენი გუნდის ძალას, პირველ ყოვლისა, შემადგენლობის სრულფასოვნებაში ხედავენ. მართლაც, ძნელი გამოსაყოფია გუნდის 12 წევრიდან რომელიმე კალათბურთელი. მეტსაც გეტყვით. სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელს ვ. კონდრაშინს გაუჭირდა მოთამაშეთა შერჩევა და შემადგენლობის დაკომპლექტება, ვინაიდან ვერ განსაზღვრა, კანდიდატებს შორის რომელი უფრო ძლიერი იყო და რომელი შედარებით სუსტი. ერთი სიტყვით, ჩემპიონს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი შეინარჩუნოს თავისი ტიტული.

ვინ გაუწევს მეტოქეობას ჩვენს ნაკრებს? პირველ ყოვლისა, მსოფლიოს ჩემპიონი — იუგოსლავიის გუნდი. მართალია, იუგოსლაველები მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო წლეულს საერთაშორისო სარბიელზე ვერ ბრწყინავენ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ კოლექტივმა, როგორც არავინ, იცის ძალების მობილიზება ყველაზე საჭირო მომენტში (გაიხსენეთ მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატი, მეხიკოს ოლიმპიადა და ა. შ.).

ბოლო საერთაშორისო შეხვედრებში ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა ჩეხოსლოვაკიის გუნდმა. იგი ესენში უთუოდ სერიოზული გეგმებით ჩავა. საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ იტალიელებიც. ამ გუნდის აქციები განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ.

ევროპული კალათბურთის სპეციალისტები ქებით იხსენიებენ ბულგარელებსაც, რომლებიც წლეულს რატომღაც თავს არიდებენ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობას. ვინ იცის, შესაძლოა ისინი არც ცდებიან. ყოველ შემთხვევაში, ბულგარელებს მდიდარი საკალათბურთო ტრადიციები აქვთ და მათი პრეტენზიები უთუოდ დასაბუთებული იქნება.

გუშინწინ სსრ კავშირის ნაკრები საზღვარგარეთული მიკროტურნეს ჩასატარებლად გაემგზავრა. იგი რამდენიმე საკონტროლო მატჩს გამართავს იტალიის გუნდებთან და მერე ესენს ეწვევა. როგორია ჩვენი ნაკრების შემადგენლობა? პირდაპირ უნდა ვთქვათ, მწვრთნელმა ვ. კონდრაშინმა ვეტერანებისა და ახალგაზრდებისგან შეადგინა საკმაოდ ძლიერი კოლექტივი, რომელსაც, ვფიქრობთ, ექნება შესაძლებლობა იბრძოლოს თავისი მაღალი ტიტულის შესანარჩუნებლად.

ნაკრებში გამოდის 2 ვეტერანი, რომელთა მკერდს ევროპის ჩემპიონის 3-3 ოქროს მედალი ამშვენებს. ესენი არიან: თბილისის დინამოელი ზ. საკანდელიძე და კაუნასელი მ. პაულაუსკასი (პირველი ჯილდო მათ 1965 წელს მიიღეს, 1967 და 1969 წლებში კი გაიმეორეს წარმატება). ნაკრებში გამოდიან, აგრეთვე, ორი ევროპული ჩემპიონატის ოქროს მედალოსნები ა. პოლივოდა (კიევის „სტროიტელი"), გ. ანდრეევი, ს. ბელოვი (ორივე — ცსკა) და პ. ტომსონი (ტარტუს „კალევი"). თითოჯერ იყვნენ ევროპის ჩემპიონები ა. ჟარმუხამედოვი (ცსკა), ა. ბელოვი (ლენინგრადის „სპარტაკი") და ა. ბოლოშევი (მოსკოვის „დინამო"). გუნდის დანარჩენი წევრები (არმიელი ი. ედეშკო, ესტონელი ა. ტამისტე და თბილისის დინამოელი მ. ქორქია), მართალია, ახალბედები არ არიან, მაგრამ ევროპის ჩემპიონები არასდროს ყოფილან.

როგორც ცნობილია, ამას წინათ ლენინგრადში ჩატარდა დიდი საერთაშორისო ტურნირი ი. გაგარინის სახელობის პრიზზე, რომელიც თავისებურ რეპეტიციას წარმოადგენდა ევროპის ჩემპიონატის წინ. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა ვ. კონდრაშინმა პასუხი გასცა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

● **როგორ აფასებთ გუნდის სამზადისს?**

— მძიმე სასპარტაკიადო ბატალიების შემდეგ, სადაც ნაკრების წევრები თავიანთ კოლექტივებში ასპარეზობდნენ, დიდი დახმარება გაგვიწია ი. გაგარინის სახელობის პრიზის გათამაშებამ (ანგარიში უნდა გავუწიოთ იმას, რომ ერთია კლუბებში თამაში და სულ სხვაა ნაკრებში მონაწილეობა). ტურნირი დაგვეხმარა კალათბურთელთა შორის ურთიერთგაგების აღდგენაში. ჩემის აზრით, სასარგებლო იყო წახკაძორში დასვენებაც.

● **ვინ დაიცავს, თქვენის აზრით, სსრ კავშირის ნაკრების ღირსებას ესენის ევროპულ ჩემპიონატში?**

— გფრ-ში ასპარეზობის უფლება თორმეტ კალათბურთელს აქვს. 10 კანდიდატის ვინაობა ეჭვს არ იწვევს. ესენი არიან: ა. პოლივოდა, გ. ანდრეევი, ა. ჟარმუხამედოვი, ა. ბელოვი, მ. პაულაუსკასი, პ. ტომსონი, ს. ბელოვი, ი. ედეშკო, ზ. საკანდელიძე და ა. ტამისტე. ორ დარჩენილ ადგილზე პრეტენზიას აცხადებს საკმაოდ ძლიერი კვარტეტი მ. ქორქიას, ა. ბოლოშევის, რ. ვენზბერგასისა (კაუნასის „ჟალგირისი") და ა. კულკოვის (ცსკა) შემადგენლობით (ახლა უკვე ყველაფერი გადაწყდა და, ვფიქრობთ, მწვრთნელის არჩევანი სწორია.).

● **რა შეიძლება ითქვას ნაკრების ცალკეულ წევრთა ფორმაზე?**

— შეტევის ხაზი უკვე ძლიერად და სტაბილურად თამაშობს. მართალია, ადრე ჟარმუხამედოვს დაღლა ეტყობოდა, მაგრამ დასვენების საშუალება მივეცით და ახლა ისიც ჩინებულ ფორმაშია. ს. ბელოვისა და მ. პაულაუსკასის თამაშის არასტაბილურობა ნაკლებად გვაღელვებს, ვინაიდან მათ გადამწყვეტ მომენტში მობილიზების უნარი აქვთ. პოლივოდას ნაკრებში დაბრუნებამ უდავოდ გააძლიერა თავდასხმის ხაზი. დაცვის დღევანდელი მდგომარეობა ხინჯად მაქვს გულში ჩარჩენილი, თუმცა ვფიქრობ, დროთა განმავლობაში ამ მხრივაც ყველაფერი დალაგდება.

● **რა აზრისა ხართ ჩვენს მეტოქეებზე?**

— ჩემზე, პირადად, ლენინგრადში ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა ჩეხოსლოვაკიელთა თამაშმა. ბრწყინვალე ფორმაში არიან ვეტერანები — ქ. ბაროხი, ი. ზიდეკი, ი. ბობროვსკი. გაცილებით უფრო სახიფათონი იქნებიან იუგოსლაველებიც. ჩვენი ბიჭები არ უნდა მოატყუოს იმან, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გუნდის შემადგენლობაში არ გამოდიან პ. სკანსი, დ. შოლმანი და რ. ტვრდიჩი.

ახალი ამბები

● **ბარსელონა, 3 სექტემბერი.** იუნიორ ფრენბურთელ ვაჟთა ევროპული ჩემპიონატის სტარტზე გამარჯვება მოიპოვა სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელმაც სძლია ესპანეთის გუნდს — 3:0 (15:12, 15:8, 15:6). ჩვენი ფრენბურთელების გარდა ჩემპიონატში გამოდიან ბულგარეთის, გდრ-ის, გფრ-ის, იტალიის, იუგოსლავიის, პოლონეთის, საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები.

● **ვარშავა, 3 სექტემბერი.** საბჭოთა ჩოგბურთელებმა მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავეს აქ გამართულ მეგობრული არმიების ჩემპიონატში. გაიმარჯვეს პოლონელმა სპორტსმენებმა, მეორე ადგილზე არიან ჩეხოსლოვაკიელები.

● **მოსკოვი, 3 სექტემბერი.** გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" პრიზზე გამართულ ჰოკეისტთა საერთაშორისო ტურნირის ფინალში ითამაშებენ ცსკა და სკა (ლენინგრადი). მოსკოველმა არმიელებმა ნახევარფინალში მოუგეს „კრილია სოვეტოვს" (მოსკოვი) — 5:4, ლენინგრადელებმა — მოსკოვის „ლოკომოტივს" — 5:1.

● **ერევანი. 4 სექტემბერი.** აქ დამთავრდა ასუჯრიან შაშში სსრ კავშირის XVII ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი. ფინალის საგზურები მოიპოვეს ვ. ვეისმანმა (ლენინგრადი), ნ. მიშჩანსკიმ (დონეცკი) — 10,5-10,5 ქულა 15-დან და ლ. ზალიტისმა — 10. 15 წლის თბილისელმა ბ. შაქარდიანმა 9 ქულით IV ადგილი დაიკავა.

ახალი ამბები

პროფესიული რინგის ამბები

კრივი თუ კარატე?

სპორტის მოყვარულები ხშირად მიმართავენ ერთმანეთს ასეთი შეკითხვით: ვინ არის უფრო ძლიერი — მოჭიდავე თუ ძალოსანი. ვინ არის უფრო გამძლე — მორბენალი თუ მოცურავე?

ამას წინათ ერთ-ერთმა იტალიურმა ჟურნალმა თავსატეხი შეკითხვა მიიღო: ვინ გაიმარჯვებდა იმპროვიზებულ შეჯიბრებაში — მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერესი პროფესიონალი მოკრივე რ. რობინსონი თუ იაპონური ჭიდაობის — კარატეს რომელიმე ცნობილი ოსტატი? აი, როგორი პასუხი გასცა შეკითხვას ჟურნალისტმა ჯ. სინიორემ:

ყველამ კარგად იცის, რომ რ. რობინსონი შეუდარებელი ტექნიკის მოკრივე იყო, რომელსაც, ამასთან, გამანადგურებელი დარტყმა ჰქონდა. მან პროფესიულ რინგზე 202 შეხვედრა ჩაატარა და 109 ნოკაუტით მოიგო. მაგრამ რობინსონის საბრძოლო წონა იშვიათად აღემატებოდა 72,5 კგ-ს. რაც შეეხება კარატეს, ამ სახეობაში ჩემპიონები, როგორც წესი, უფრო მძიმე წონისა არიან. ასე რომ იაპონელის ზუსტ დარტყმას შეეძლო წონასწორობიდან გამოეყვანა რობინსონი.

მაგრამ მოკრივესაც, თავის მხრივ, ჰქონდა შანსი ნოკაუტში გაეგზავნა მეტოქე. რაც შეეხება მძიმე წონის მოკრივეებს, ისეთებს, როგორიც იყვნენ ჯ. ლუისი, რ. მარჩიანო, ა. მური, მ. შმელინგი, კ. კლეი და სხვა, ჩემის აზრით, წარმატებით შეეძლოთ კარატეს ოსტატებთან ბრძოლა, იმიტომ, რომ ისინი საშინელი დარტყმებით უმასპინძლდებოდნენ მეტოქეებს და თვითონაც წარმატებით უძლებდნენ ასეთივე ძლიერ დარტყმებს, მაგრამ არც მათზე შეიძლება ითქვას, რომ 100 პროცენტით დაამარცხებდნენ მეტოქეს. საქმე ისაა, რომ კარატეს ოსტატები საოცრად გამძლენი არიან, სისწრაფე კი ერთისამად მეტი აქვთ.

ასეთი შეხვედრა არასდროს ჩატარებულა, მაგრამ ერთხელ, 1908 წლის 31 დეკემბერს, პარიზში გაიმართა მატჩი კალიფორნიელ მძიმე წონის მოკრივე ს. მაკ-დიასა და იაპონელ პ. მაცუდას შორის (მაცუდა ჯიუ-ჯიცუს უბადლო ოსტატად ითვლებოდა). მოკრივემ პირველსავე წუთზე დაამთავრა ბრძოლა უძლიერესი დარტყმით.

„მოკალი, ლობიტო!"

კარინ პარადის მთელი დარბაზის გასაგონად შეუძლია იყვიროს, თუ მაყურებლები ლობიტო მონტოიას მეტოქის დაუჭერენ მხარს. არა, იგი მოკრივის ცოლი არ არის, შორეული ნათესავიც კი არ გახლავთ, მაგრამ ყველაზე მეტადაა დაინტერესებული ლობიტოს წარმატებით, ამტკიცებს ამერიკული ჟურნალი „რინგი". ლობიტოს გამარჯვება პარადისთვის ფულს ნიშნავს, თანაც ბლომად ფულს. კარინ პარადი მოკრივის მენეჯერია. იგი აწყობს მის ორთაბრძოლებს, არჩევს დარბაზს, უკეთებს რეკლამას, ეძებს მწვრთნელებს. ვაჭრობს მომავალი მატჩების პირობებზე და ყველაფერ ამისთვის მოკრივის ჰონორარის დიდ პროცენტს იღებს.

პარადი ლას ვეგასიდანაა (ამერიკის შეერთებული შტატები). მან თავად გადაწყვიტა თამაშში ჩაბმა. აღმოაჩინა ახალგაზრდა ნიჭიერი მექსიკელი მოკრივე და ხელშეკრულება დაუდო, რითაც ფაქტიურად მისი ბატონ-პატრონი გახდა. ჟურნალისტებს კი პარადი არწმუნებს, რომ ის და ლობიტო დიდი მეგობრები არიან, რომ იგი თავს არ ზოგავს, რათა მოკრივეს ოცნება აისრულოს — მსოფლიოს ჩემპიონი გახდეს...

ლობიტო მონტოია დაიბადა და გაიზარდა გვადალახარაში. სამშობლოში იგი ღატაკი იყო და ახლა გადაწყვიტა სხვაგან ეცადა ბედი. პარადის თვალები უბრწყინავს, როცა ლობიტო თავის 18 წლის ძმისწულზე ლაპარაკობს. ეს ჭაბუკიც მოკრივეა და კარინს მასთან დაკავშირებითაც აქვს თავისი გეგმები.

ჯერჯერობით კი დარბაზებში გაისმის მენეჯერი ქალის ყვირილი: „მოკალი, ლობიტო!"

მარცხი ორ წონაში

ლუდვიგსჰაფენი, 4 სექტემბერი. გფრ-ის ამ ქალაქში მიმდინარეობს ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატი. წარუმატებლად გამოვიდნენ საბჭოთა ათლეტები ქვემძიმე და მძიმე წონებში. ისინი ასპარეზობას გამოეთიშნენ ფინალამდე დიდი ხნით ადრე.

მძიმეწონოსანთა ტურნირი მოიგო ჰოლანდიელმა გიგანტმა ვ. რიუსკამ. მან გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხა ადგილობრივი სპორტსმენი კ. გლანი. მანამდე კი ფინალისტებმა შედარებით ადვილად გასტეხეს ინგლისელი კ. რემფრისა და იაპონელი ხ. ივატას წინააღმდეგობა.

კიშინიოველმა ვეტერანმა 32 წლის ვ. ესიკმა ვერაფერი მოუხერხა რემფრის და დამარცხდა, იაპონელმა ივატამ გზა გადაუღობა მეორე საბჭოთა ათლეტს ვ. გუცუს (კიშინიოვი).

ქვემძიმე წონაში ოქროს მედალი იაპონელმა ძიუდოისტებმა გაითამაშეს. ამჯერად წარმატება წილად ხვდა ფ. სასახარას, რომელმაც გადამწყვეტი ბრძოლა მოუგო ნ. სატოს.



Sci da erba
(a 70 all'ora)

Windermere - È relativamente facile andare sugli sci quando si dispone dell'attrez- queste due ragazze austriache, è possibile sciare tutto l'anno: estate e inverno. Le

სათხილამურო სლალომი, მოგეხსენებათ, ზამთრის სახეობაა და უეჭველად მოითხოვს თოვლს. მაგრამ ამ ფოტოსურათებზე აღბეჭდილი ავსტრიელი ქალიშვილები სლალომს ინგლისის პატარა ქალაქ ვინდერმერის პარკის ფერდობებზე ეუფლებიან. გორგოლაჭებიანი ციგურებით ისინი სლალომის შესანიშნავ ტექნიკას ავლენენ და საკმაოდ დიდ სისწრაფესაც ავითარებენ — 70 კილომეტრს საათში.

სსრ კავშირის პირველობა

I ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	30	19	7	4	53—21	45
„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)	30	19	6	5	59—23	44
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	29	16	8	5	40—16	40
„მეტალისტი" (ხარკოვი)	30	14	5	11	35—30	33
„შახტიორი" (ყარაგანდა)	30	12	9	9	31—26	33
„ტექსტილშჩიკი" (ივანოვო)	30	10	12	8	32—27	32
„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)	30	12	6	12	34—27	30
„მეტალურგი" (ზაპოროჟიე)	29	10	10	9	29—25	30
„ტორპედო" (ქუთაისი)	30	10	10	10	37—41	30
„ურალმაში" (სვერდლოვსკი)	30	9	11	10	21—23	29
„ჟალგირისი" (ვილნიუსი)	30	9	10	11	26—31	28
„პამირი" (დუშანბე)	30	11	6	13	29—36	28
„შინნიკი" (იაროსლავლი)	30	11	6	13	28—35	28
„დინამო" (ლენინგრადი)	30	10	7	13	27—30	27
„ალგა" (ფრუნზე)	30	9	9	12	31—35	27
„მოლდოვა" (კიშინიოვი)	30	8	10	12	21—28	26
„დაუგავა" (რიგა)	30	8	10	12	19—27	26
„კუზბასი" (კემეროვო)	30	9	8	13	28—43	26
„სპარტაკი" (ორჯონიკიძე)	29	10	5	14	34—45	25
„სტროიტელი" (აშხაბადი)	30	10	4	16	32—47	24
„რუბინი" (ყაზანი)	30	7	9	14	23—36	23
„ვოლგარი" (ასტრახანი)	29	5	12	12	23—40	22

კიეველებმა ყველას აჯობეს

კიევი, 3 სექტემბერი. აქ დამთავრდა ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ფინალური ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ კიევისა და მოსკოვის „დინამოს", ცსკა-ს, ყარაგანდის „შახტიორის", რუსთავის „მეტალურგის" და ლვოვის „კარპატის" მოსამზადებელი ჯგუფების სპორტსმენები. კიევის „დინამოსა" და ცსკა-ს ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდების ბოლო მატჩს უნდა გაერკვია I ადგილის მფლობელის ვინაობა. კიეველებს ამისთვის ფრეც ჰყოფნიდათ. მატჩი დამთავრდა ფრედ (0:0). კიეველებმა I ადგილი გაინაღდეს და მცირე ოქროს მედლებით დაიმშვენეს მკერდი. მათ ფინალურ ტურნირში 3 გამარჯვება მოიპოვეს და 2 შეხვედრა ფრედ დაამთავრეს. მოსკოვის „დინამომ" და ცსკა-მ 7-7 ქულა დააგროვეს. ბურთების უკეთესი ბალანსი აღმოაჩნდათ დინამოელებს და II ადგილიც მათ ხვდათ. არმიელები III ადგილს დასჯერდნენ.

რუსთავის „მეტალურგი" ბოლო, VI ადგილზეა ამ გუნდმა ერთადერთი ქულა მოიპოვა ლვოვის „კარპატთან" შეხვედრაში, რომელიც ფრედ დამთავრდა, დანარჩენი მატჩები კი წააგო.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებად აღიარეს მოსკოვის „დინამოს" მეკარე ვ. კვასნიკოვი, არმიელთა მცველი ს. ბაჟენოვი და კიეველი ფორვარდი ნ. პინჩუკი. „პრიზი სამართლიანი თამაშისთვის" გადაეცა რუსთავის „მეტალურგს".

ბოლოს...

თბილისში დაიწყო ყრუ-მუნჯთა საკავშირო პირველობის ფინალი ფეხბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ რსფსრ-ს, უკრაინის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.

მსოფლიოს ფეხბურთის ამბები

● ციურიხი. ფიფა-ს ოლიმპიურმა კომისიამ მოახდინა კენჭისყრა შესარჩევ ტურნირში მონაწილე აფრიკული გუნდებისთვის. აი, კენჭისყრის შედეგები: I ქვეჯგუფი. ტუნისი, მაროკო მალი; II. განა, ტოგო, სენეგალი, კამერუნი; III. მადაგასკარი, ეთიოპია, სუდანი. ქვეჯგუფებში გამარჯვებული გუნდები ერთ ფინალურ საგზურს გაითამაშებენ.

7 სექტემბერს

თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის შენობაში (კონსტიტუციის ქ. № 5) გაიმართება ფეხბურთის საქალაქო ფედერაციის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა.

თბილისის ჩემპიონატში მონაწილე გუნდების მწვრთნელებისა და წარმომადგენლების, აგრეთვე, მსაჯების დასწრება სავალდებულოა.

დასაწყისი 19 საათზე.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 04147